სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/110

ქ. თბილისი 14 აგვისტო 2020 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ზურაბ წვერაიძის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2020 წლის 15 ივნისის საბჭოს სხდომის № 7 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმატიკა".
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე